დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

„ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი დიასპორა“

აპრილი, 2023

ქ. ათენში ქართული ენისა და ლიტერატურის ღია გაკვეთილი ჩატარდა

1 აპრილს, ქ. ათენში, ბერძნულ-ქართული კულტურის ასოციაციის ახალ სივრცეში ქართული ენისა და ლიტერატურის პირველი ღია გაკვეთილი ჩატარდა.
პედაგოგ თამარ აფციაურთან ერთად მოწაფეებმა იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა'' განიხილეს.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. ათენში საქართველოს საელჩოს თანამშრომლები, ათენის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენების შემსწავლელი ცენტრის ქართული ენის პედაგოგი, თეონა ბერიძე და ათენის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მოძღვარი, მამა გიორგი ნადირაშვილი.
ღონისძიების ფარგლებში საკვირაო სკოლის ხელმძღვანელებს, პედაგოგებსა და აღსაზრდელებს სიტყვით მიმართეს საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა დარეჯან მუმლაძემ და მღვდელმსახურმა, მამა გიორგი ნადირაშვილმა. დარეჯან მუმლაძემ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა პედაგოგებს და ორგანიზაციის ხელმძღვანელს ახალგაზრდა თანამემამულეებისთვის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში ჩადებული შრომისთვის და მხარდაჭერა აღუთქვა.

თბილისში საგაზაფხულო საქველმოქმედო გალა კონცერტი გაიმართა

1 აპრილს, აშშ-ში მოქმედი ორგანიზაციის - „საქართველოს ამერიკელი მეგობრები“ (AFG) (ხელმძღვანელი მარუსია ჭავჭავაძე) ორგანიზებით, სასტუმრო „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში“ საგაზაფხულო საქველმოქმედო გალა კონცერტი გაიმართა.
გალა კონცერტზე შემოსულმა თანხამ შეადგინა რეკორდული $132,450, რომელიც მოხმარდება AFG-ის ორი პარტნიორი პროექტის, ძეგვის თავშესაფრისა და ფერისცვალების ჰოსპისის და პალიატიური სახლის მოვლის პროგრამის მხარდაჭერას.
ღონისძიებას ესწრებოდა 400-მდე სტუმარი დიპლომატიური კორპუსიდან და ადგილობრივი და საერთაშორისო ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები.
სტუმრების წინაშე წარდგნენ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლისა და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქალთა გუნდის წევრები.

ქართულმა დიასპორამ ლა ნუსიას საერთაშორისო ფესტივალზე მიიღო მონაწილეობა

1 აპრილს, ქ. ლა ნუსიაში, რიგით მე-7 საერთაშორისო ფესტივალი - „VII Dia Internacional de La Nucía“ გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 40-მა ქვეყანამ და მათ შორის საქართველომ.
ფესტივალზე, ქ. ალიკანტეს ქართული დიასპორის - ,,საქართველოს რესპუბლიკა და ემიგრანტები'' თანადგომით მაყურებლის წინაშე წარდგნენ ბარსელონაში მოქმედ დიასპორულ ორგანიზაციასთან - ,,ეროჯორჯია ბარსელონა“ არსებული ანსამბლი ,,საქართველო'' და ალიკანტეს თვითშემოქმედებითი კოლექტივი.
ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ქართული სტენდი, სადაც ვიზიტორებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ ქართულ კულტურას, დაეგემოვნებინათ ქართული ღვინო და კერძები.
ფესტივალს საპატიო სტუმრის სტატუსით ეწვივნენ ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალური კონსული ალექსანდრე ჭკუასელი და ვიცე-კონსული ლიკა ახალბედაშვილი.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ესპანეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ანსამბლი „ლაზიკა“ ქ. სანქტ-პეტერბურგში გამართულ საცეკვაო ოლიმპიადაზე გამოვიდა

1 აპრილს, ქ. სანქტ-პეტერბურგში, გაიმართა რუსეთის ქორეოგრაფიული ხელოვნების ფესტივალი. ღონისძიება ჩატარდა სანქტ-პეტერბურგის კულტურისა და ხელოვნების საერთაშორისო შემოქმედებითი პროექტის «Вдохновение Виват-Талант» ფარგლებში.
ფესტივალზე გამართულ საცეკვაო ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო ქ. სანქტ-პეტერბურგში მოქმედმა ქართულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ლაზიკა“, რომელსაც ხელმძღვანელობს კობა ზარქუა.

საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ქ. კორკის ქართულ საკვირაო სკოლას ესტუმრა

2 აპრილს, საქართველოს პარლამენტის დელეგაცია, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, ნიკოლოზ სამხარაძის ხელმძღვანელობით, ირლანდიის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ქ. კორკში არსებულ ქართულ საკვირაო სკოლა „ფესვებს“ ესტუმრა.
ქართველმა დეპუტატებმა სკოლის პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართეს, რომელზეც სკოლის საჭიროებები განიხილეს. დელეგაციის წევრებმა საკვირაო სკოლას საჩუქრად საგარეო საქმეთა სამინისტროს „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შექმნილი ქართული ენის სახელმძღვანელოები გადასცეს.
საკვირაო სკოლა „ფესვები“ ირლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობითა და ძალისხმევით დაფუძნდა, სადაც დღეს 32 მოსწავლე ირიცხება.
დელეგაციის წევრები შეხვდნენ ქ. კორკის მერს დიედრა ფორდს, რომლის ხელშეწყობითაც საკვირაო სკოლისთვის უსასყიდლოდ გამოიყო საკლასო ოთახები და საკონცერტო დარბაზი, სადაც ქართველი ბავშვები ქართულ ენას, ისტორიას, ქართულ ცეკვასა და სიმღერას შეისწავლიან.
შეხვედრას ესწრებოდა ირლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, გიორგი ზურაბაშვილი.

ქ. ნიქოზიის ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა დედაენის დღე აღნიშნეს

2 აპრილს, ქ. ნიქოზიაში მოქმედი ქართული საკვირაო სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართეს.
მოსწავლეებმა ისაუბრეს ქართული ენის მნიშვნელობაზე, წაიკითხეს ქართული ლექსები და შეასრულეს სიმღერები.

ქ. ათენში პროექტის „გზამკვლევი საბერძნეთში მყოფი ქართველებისთვის“ პრეზენტაცია გაიმართა

5 აპრილს, ქ. ათენში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობის“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის ,,გზამკვლევი საბერძნეთში მყოფი ქართველებისთვის“ პრეზენტაცია გაიმართა.
გზამკვლევი მოიცავს საბერძნეთში მყოფი ქართველი ემიგრანტებისათვის აქტუალურ საკითხებს, რაც ეხება ლეგალურად ცხოვრებას და მუშაობას საბერძნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.
შეხვედრის მეორე ნაწილში ქართველმა იურისტებმა - მარა ხიმსიადუმ, დავით დიმიტრიადისმა და პროექტის ავტორმა, რევაზ კიკნაძემ, ისაუბრეს 2024 წლის იანვრიდან ბერძნულ საემიგრაციო კანონმდებლობაში დაგეგმილ ცვლილებზე და უპასუხეს ამ კუთხით სტუმრების მიერ დასმულ შეკითხვებს.
ღონისძიებას ესწრებოდნენ, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) თანამშრომლები, ათენში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლები, იურისტები და სტუდენტები.

ქ. ათენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ქართული წიგნის კუთხე გაიხსნა

6 აპრილს, ქ. ათენში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებმა კაპოდისტრიასის სახელობის ათენის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ უცხო ენების სკოლას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ქართული ენის სახელმძღვანელოები გადასცეს. წიგნები უცხო ენების სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსდა.
სახელმძღვანელოები განკუთვნილია ქართული ენის შემსწავლელი კურსის სტუდენტებისთვის. ქართული ენის სწავლება უცხო ენების შემსწავლელ ცენტრში 2022 წლის სექტემბრიდან მიმდინარეობს.
საელჩოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა დარეჯან მუმლაძემ ბიბლიოთეკაში ქართული კუთხის გამოყოფისთვის მადლობა გადაუხადა უცხო ენების სკოლის ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომლებსა და სკოლის ქართული ენის ლექტორს, ფილოლოგიის დოქტორ თეონა ბერიძეს, რომლის ინიციატივითაც გაიხსნა ქართული ენის შემსწავლელი კურსი.
საელჩოს წარმომადგენლები ათენის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორს, პროფესორ დიმიტრის კარადიმასს შეხვდნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის უცხო ენების სკოლის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი გიორგიოს ფლუდასი, ქართული ენის ლექტორი თეონა ბერიძე, საელჩოს უფროსი მრჩეველი დავით კორძაძე და საელჩოს პირველი მდივანი ანი უძილაური. მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.

ქ. რიშონ ლეციონში „ემიგრანტული მინი-ფესტივალი“ გაიმართა

7 აპრილს, ქ. რიშონ ლეციონის ნაკრძალში, დიასპორული ორგანიზაციის „ქართული ხელოვნების ცენტრი ისრაელში" ორგანიზებით გაიმართა ღონისძიება - „ემიგრანტული მინი-ფესტივალი“. ღონისძიების ორგანიზატორებმა ქართული მუსიკისა და პოეზიის ნამდვილი ზეიმი მოაწყვეს. ფესტივალს ესწრებოდა ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლაშა ჟვანია. საქართველოს ელჩმა ორგანიზაციის ერთ-ერთ დამფუძნებელ მარინა გელაშვილთან და ღონისძიების მონაწილეებთან ერთად, წმინდა მიწაზე ქართველების მოწამეობრივ ცხოვრება-მოღვაწეობაზე ისაუბრა.



ქ. ათენის ანსამბლმა „ივერიელები“ კრეტას გამოფენაში მიიღო მონაწილეობა

7 აპრილს, ქ. ათენის ბერძნულ-ქართულ კულტურულ ასოციაციასთან არსებულმა ანსამბლმა „ივერიელები“ მონაწილეობა მიიღო ქ. პირეასში გამართულ კრეტას რიგით 33 გამოფენაში. ანსამბლი მაყურებლის წინაშე ქართული ეროვნული სიმღერებითა და ცეკვებით წარდგა.
გამოფენა გაიმართა UNESCO SID პრეზიდენტის, კოსტას ტულატოსისა და გამოფენის ორგანიზატორის, ნიკოს სიდიროპულოსის ინიციატივით.
ღონისძიებას ესწრებოდა საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი დავით კორძაძე.

საქართველოს ელჩი ქ. დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციის წარმომადგენლებს შეხვდა

8 აპრილს, ქ. დუზჯეში სამუშაო მივლინების ფარგლებში, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, გიორგი ჯანჯღავა, ქ. დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციას ეწვია, სადაც შეხვედრა გამართა ასოციაციის ხელმძღვანელთან, აიდინ ქუბილაისთან და ასოციაციის წევრებთან.
შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს საქართველო-თურქეთის სტრატეგიული პარტნიორობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების ძირითად ასპექტებსა და ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივებზე. ასევე, ხაზი გაესვა ქართული დიასპორის მნიშვნელოვან როლს, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების საკითხში.
შეხვედრის დასრულების შემდეგ, დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციის ბაზაზე მოქმედმა ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა, რომელსაც იბერია ოზქან მელაშვილი ხელმძღვანელობს, შეასრულა ცნობილი ქართული ფოლკლორული ნიმუშები.
ღონისძიების დასასრულს, საქართველოს ელჩმა, მადლობა გადაუხადა ასოციაციის ხელმძღვანელობასა და წევრებს, მათ მიერ გაწეული საქმიანობისთვის და გამოხატა მზაობა, აქტიურად ითანამშრომლოს თურქეთის მასშტაბით მოქმედ ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებთან.

ქ. ვენაში გამოფენა „9 აპრილის გმირები“ გაიმართა

9 აპრილს, ქ. ვენაში, დიასპორული გაერთიანების „ქართული სათვისტომო ავსტრიაში” ორგანიზებით და „Bezirksmuseum Neubau”-თან თანამშრომლობით გაიმართა გამოფენა სახელწოდებით - „9 აპრილის გმირები”. გამოფენის ფარგლებში ნაჩვენები იქნა ქართველი ისტორიკოსისა და ჟურნალისტის, თომა ჩაგელიშვილის დოკუმენტური ფილმი „9 აპრილი“.
ღონისძიების ორგანიზატორებმა, სტუმრებთან ერთად, პატივი მიაგეს 9 აპრილს დაღუპულ გმირებს და გაიხსენეს საქართველოს უახლოესი ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ავსტრიაში ქართული დიასპორის წარმომადგენლები და ქართველი სტუდენტები.

ქ. პარიზში 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სპექტაკლი დაიდგა

9 აპრილს, პარიზის წმ. თამარ მეფის სახელობის ტაძართან არსებული საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, წარმოადგინეს სპექტაკლი, რომელიც 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნა.
სპექტაკლს ესწრებოდნენ საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, გოჩა ჯავახიშვილი, პარიზის წმ. თამარ მეფის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მამა ანტონ კანდელაკი და ქართული დიასპორის წევრები.

ქართველმა პიანისტებმა ქ. ნაარდენის საერთაშორისო საფორტეპიანო ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა

12 აპრილს, ქ. ნაარდენში, ჩატარდა საერთაშორისო საფორტეპიანო ფესტივალის - Naarden International Piano Festival – პირველი საფესტივალო საღამო. ფესტივალი დაარსდა ცნობილი ნიდერლანდელი პიანისტისა და პედაგოგის, იან ვაინის საპატივცემულოდ. ფესტივალის მიზანი ნიჭიერი მუსიკოსების წარმოჩენა და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობაა.
საღამოზე მოეწყო კლასიკური საფორტეპიანო-საშემსრულებლო მასტერკლასი. აუდიტორიის წინაშე წარდგნენ უცხოეთში მოღვაწე ქართველი პიანისტები ნინო გვეტაძე (ფესტივალის თანადამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელია) და მარიამ ბაწაშვილი, რომლებმაც ფერენც ლისტის უკვდავი ნაწარმოებები შეასრულეს.
კონცერტს ესწრებოდნენ ქალაქ ნაარდენის მერი, პიტერ რევინკელი, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩი, დავით სოლომონია, ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ადგილობრივი მსმენელი და კულტურის სფეროს წარმომადგენლები.
ფესტივალის ძირითადი ნაწილი 13 და 14 აპრილს გაიმართა და მასში მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა ქართველმა პიანისტმა, სოფო ხაზარაძემ.

ქ. ტალინში ციფრული გამოფენა – „ქართული ანბანის სამი სახეობა“ გაიხსნა

13 აპრილს, ქ. ტალინში, ესტონეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ციფრული გამოფენა – „ქართული ანბანის სამი სახეობა“ გაიხსნა. ღონისძიება სიმბოლურად დედა ენის დღის აღსანიშნავად გაიმართა და მასში მონაწილეობა მიიღეს კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა, მეცნიერებმა, საქართველოს ესტონელმა მეგობრებმა, ქართულმა დიასპორამ და ესტონეთში საქართველოს საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა. ღონისძიება ემსახურებოდა ესტონეთში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას.
ციფრული გამოფენა ესტონეთის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა იანე ანდრესოომ და ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა არჩილ ყარაულაშვილმა გახსნეს. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ესტონეთში მცხოვრებმა ქართველმა ბიბლიოთეკარმა მანანა კოხტაშვილმა.
ღონისძიების ფარგლებში საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს ქართული ლექსები.
ღონისძიების დასასრულს, ესტონეთში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, გაიმართა მცირე მიღება – ღვინის დეგუსტაცია.

ქ. ტაშკენტში ქართული დიასპორის წარმომადგენლების ნამუშევრების გამოფენა გაიმართა

13 აპრილს, ქ. ტაშკენტის ფოტოგრაფიის სახლში, უზბეკეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, უზბეკეთში ქართულ დიასპორასთან ერთად და უზბეკეთის სამხატვრო აკადემიის ხელშეწყობით, გაიმართა დედაენის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა და ქართული ღვინისა და კერძების დეგუსტაცია. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო უზბეკეთში ქართული დიასპორის წევრების ეკატერინე სულაკაძის, რუსუდან ხუბუტიასა და კამილა მუმინოვას, ასევე საელჩოს დესპანის ალექსანდრე ყიფიანის ფერწერული და ფოტო ნამუშევრები.
საგამოფენო დარბაზში სტუმრებს საშუალება ჰქონდათ თვალი ედევნებინათ კამილა მუმინოვას ქართული ენისადმი მიძღვნილი ნამუშევრის შესრულების პროცესისთვის.
დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს უზბეკეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ზურაბ აბდუშელიშვილმა და უზბეკეთის სამხატვრო აკადემიის წარმომადგენელმა ფერუზა აბიჯანოვამ.

ქ. პარიზში დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

15 აპრილს, ქ. პარიზში, ასოციაცია - ქართველთა კულტურის კერა „ლაზთან“ არსებულმა ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა, პარიზში სტუმრად ჩასულ სტუდია „ბასტი-ბუბუ“-სთან ერთად, გამართა დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ღონისძიებას ესწრებოდა საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, გოჩა ჯავახიშვილი და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ქ. რენში დედაენის დღე აღნიშნეს

15 აპრილს, ქ. რენში, ასოციაცია „მსოფლიოს ხალხებთან“ არსებული საკვირაო სკოლა „ფესვებისა“ და ქორეოგრაფიულ ანსამბლ „გვირილას“ მონაწილეობით გაიმართა დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სადაც ბავშვები გამოვიდნენ ლექსებითა და ქართული ცეკვებით.

ქ. სტოკჰოლმში საკვირაო სკოლა-სტუდია „ნერგებმა“ დედაენის დღე აღნიშნა

16 აპრილს, ქ. სტოკჰოლმში, შვედეთის ილია ჭავჭავაძის სახელობის სათვისტომოსთან არსებულმა საკვირაო სკოლა-სტუდია „ნერგების“ ორგანიზებით და საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქართული ენის დღის აღსანიშნავი ღონისძიება გაიმართა.

„ნერგების“ მოსწავლეებმა ისაუბრეს ქართული ენის მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე და მშობლიური ენის შენარჩუნების აუცილებლობაზე. „ნერგელებმა“ მაყურებლის წინაშე წაიკითხეს ლექსები და შეასრულეს ქართული ცეკვები და სიმღერები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ შვედეთის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირაკლი ხუცურაული, საელჩოს თანამშრომლები, შვედეთის წმინდა გიორგის სახელობის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სამრევლოს მღვდელმსახურები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ქ. პოტსდამში ბრანდენბურგ-საქართველოს საზოგადოების ორგანიზებით ახალგაზრდა მუსიკოსების კონცერტები ჩატარდა

17-24 მარტს, ქ. პოტსდამს, ბრანდენბურგ-საქართველოს საზოგადოების და მისი ხელმძღვანელის, პავლე შპეტიშვილის ორგანიზებით, ქ. ბათუმის რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის 6 მოსწავლე და სკოლის დირექტორი ნატალია ორაგველიძე ეწვია. ქართველმა ახალგაზრდებმა უკვე დამეგობრებულ გერმანელ თანატოლებთან ერთად ჩაატარეს ერთობლივი რეპეტიციები, ასევე კონცერტები ქალაქებში პოტსდამი, ბერლინი, ვერდერი. განსაკუთრებით აღსანიშნავია გამოსვლა ბრანდენბურგის პარლამენტის სხდომათა დარბაზში, სადაც ქართველ ახალგაზრდებთან ერთად მონაწილეობდნენ გერმანელი და პოლონელი ახალგაზრდებიც. ეს ერთობლივი გამოსვლა დაემთხვა ბრანდენბურგის პარლამენტსა და აჭარის ა.რ. უმაღლეს საბჭოს შორის მჭიდრო თანამშრომლობის დამყარების 15 წლისთავს. დამსწრეთა შორის იმყოფებოდნენ საქართველოს ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლევან იზორია, საელჩოს თანამშრომლები, აჭარის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია დავით გაბაიძის ხელმძღვანელობით, ბრანდენბურგის ლანდტაგისა და პოლონეთის ქვემო სილეზიის სავოევოდოს სეიმის წარმომადგენლები. ამ პროექტის მასპინძლები იყვნენ ბრანდენბურგ-საქართველოს საზოგადოება, ქ. პოცდამის იოჰან სებასტიან ბახის მუსიკალური სკოლა, ქ. ვერდერის სამუსიკო სკოლა და ქ. პოცდამის მუსიკალური სკოლა „პატარა პრინცი“.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი იტალიის რესპუბლიკაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა

20 აპრილს, იტალიის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, საგარეო საქმეთა მინისტრი, ილია დარჩიაშვილი ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და წევრებს შეხვდა.
შეხვედრის ფარგლებში, ილია დარჩიაშვილმა მიმოიხილა საქართველოში მიმდინარე პროცესები და საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე მიღწეულ მნიშვნელოვან შედეგებზე გაამახვილა ყურადღება.
მინისტრმა დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლებს გააცნო დიასპორის სახელმწიფო სტრატეგია და ხაზი გაუსვა საგარეო უწყებისთვის დიასპორის საკითხებზე მუშაობის პრიორიტეტულობას. ასევე, ისაუბრა იმ ინიციატივებსა და სიახლეებზე, რაც საგარეო საქმეთა სამინისტროში ინერგება დიასპორასთან ეფექტური კომუნიკაციის მიზნით. ილია დარჩიაშვილმა ისაუბრა იტალიაში საქართველოს კულტურის პოპულარიზაციის საქმეში ქართული დიასპორის მნიშვნელოვან წვლილზე, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ბავშვებში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების კუთხით, საკვირაო სკოლების ფუნქციონირების მნიშვნელობაზე.
შეხვედრაზე ყურადღება დაეთმო ქართული დიასპორის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებს. ამასთან, აღინიშნა დიასპორასთან რეგულარული შეხვედრების აუცილებლობა.
შეხვედრაზე დიასპორის წარმომადგენლებმა საგარეო უწყების ხელმძღვანელს მიაწოდეს ინფორმაცია მათი საქმიანობისა და განხორციელებული პროექტების შესახებ. მინისტრმა დიასპორის წარმომადგენლებს შეხვედრაში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა და მათთან შემდგომი ინტენსიური კომუნიკაციის მზადყოფნა გამოთქვა.

ანსაბლი „ლაზი“ პარიზის საერთაშორისო კინოფესტივალზე გამოვიდა

21-23 აპრილს, ქ. პარიზში გაიმართა დოკუმენტური ფილმების მე-7 საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალზე წარმოდგენილ იქნა ქართული ფილმი "Hey, Gunesh!" (რეჟისორები მარიტა თევზაძე და ანა ჯეგნარაძე).
გახსნის ცერემონიალზე მაყურებლის წინაშე წარდგა ქ. პარიზში ქართველთა კულტურის კერა „ლაზთან“ არსებული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი „ლაზი“.

ქ. ბათ იამში დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

21 აპრილს, ქ. ბათ იამში, საქართველოს საელჩოსა და ქართველ ებრაელთა მუსიკალურ-ლიტერატურული კლუბის „50+“ ინიციატივით, ქ. ბათ იამის ინჟინერთა სახლის აუდიტორიაში, დედაენის დღისადმი მიძღვნილი საღამო - „ჩვენი ენა ქართული“ გაიმართა.
ღონისძიებაში ქართველ ებრაელთა თემისა და ისრაელში ქართული დიასპორის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მომხსენებელი ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საელჩოს მრჩეველი მანანა დუმბაძე გახლდათ. საღამო რეზო ლაღიძის ნაწარმოებით „ჰიმნი დედაენას“ გაიხსნა და დედაენის ისტორიისა და აწმყოს გარშემო დისკუსიით გაგრძელდა. ქართული დიასპორისა და კლუბ „50+“-ის წევრებმა დედაენისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს, ყველამ ერთად კი, კლუბის პრეზიდენტის, კომპოზიტორ ალექსი პელეგის მიერ შედგენილი, პოპულარული ქართული სიმღერების პოპური შეასრულა.

დიასპორულმა ცენტრმა „პეგასი-მერანი“ ქ. ათენის მულტიკულტურულ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა

21-23 აპრილს, ქ. ათენის ქართულ-ბერძნული კულტურული და საზოგადოებრივი ურთიერობების ცენტრმა „პეგასი-მერანი“ მონაწილეობა მიიღო მულტიკულტურული ფესტივალში - „ATHENS Civil Society FESTIVAL 2023". ფესტივალი ათენის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ჩატარდა.
სამდღიან ფესტივალზე „პეგასი-მერანმა“, საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, წარმოადგინა საკუთარი სტენდი, სადაც გამოფენილი იყო ქართული კულტურისა და ტურისტული პოტენციალის ამსახველი ბროშურები, წიგნები, ორგანიზაციის პედაგოგებისა და აღსაზრდელების მიერ შექმნილი თიხის ხელნაკეთი სუვენირები, ასევე თექის ნამუშევრები.
23 აპრილს, ფესტივალის დასკვნით ნაწილში, „პეგასი-მერანის“ მოწაფეებმა წარმოადგინეს მოკლე თეატრალური დადგმა „ვერის უბნის მელოდიები“ და შეასრულეს ქართულ-ბერძნული სიმღერები.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. ათენში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული დარეჯან მუმლაძე და საელჩოს სხვა თანამშრომლები, ათენის მერიის წარმომადგენლები და როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუმრები.

ქ. ლოს-ანჯელესში ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა



22 აპრილს, ქ. ლოს-ანჯელესში, სამხრეთ კალიფორნიის ქართული კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრის ორგანიზებით, ჩატარდა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ახალგაზრდული ღონისძიება.
ღონისძიების მონაწილეებმა ისაუბრეს საქართველოში დედაენის დღის დაწესების ისტორიაზე, ემიგრაციაში მყოფ ქართველებში ქართული ენისა და კულტურის შენარჩუნების აუცილებლობაზე. ასევე, განხილულ იქნა სამხრეთ კალიფორნიის ქართულ კულტურულ და საგანმანათლებლო ცენტრთან არსებული ქართული ახალგაზრდული აკადემიის მიმდინარე პროექტები და ქართული ენის სწავლების მეთოდიკა.
ღონისძიების ფარგლებში გამართულ კონცერტზე აკადემიის მოსწავლეებმა შესრულეს ცნობილი ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები, ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები. ასევე, მოეწყო აკადემიის მოსწავლეების ნახატებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა.
ღონისძიება დასრულდა მოსწავლეების დაჯილდოვებით ქართულ ენაში მიღწეული წარმატებისთვის.

ქ. ნიუ-იორკში საქველმოქმედო ფესტივალი – „ხორუმი ქართული ცეკვაა“ ჩატარდა

22 აპრილს, ქ. ნიუ-იორკში, ქართული კულტურის ცენტრის - Dancing crane Company ორგანიზებით, ბავშვთა ქართული ცეკვისა და სიმღერის პირველი საქველმოქმედო ფესტივალი - „ხორუმი ქართული ცეკვაა“ ჩატარდა.
ფესტივალში ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი ქართული კულტურის ცენტრები მონაწილეობდნენ: წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახელობის ქართული კულტურის ცენტრი (პენსილვანია), ქართული კულტურის ცენტრი „ფესვები“ (ნიუ-იორკი), ირინა დენს აკადემია (ნიუ-იორკი), ქართული ცეკვისა და ბალეტის სტუდია „ელვა“ (ნიუ-იორკი), შოთა რუსთაველის სახელობის ქართული კულტურის ცენტრი (ნიუ-ჯერსი), ნიუ-ჯერსის წმინდა გრიგოლ ხანძთელის ეკლესიასთან არსებული ქართული კულტურის ცენტრი და Dancing Crane Company – პირველი ქართული კულტურის ცენტრი (ნიუ-იორკი). ფესტივალი აშშ-ში მცხოვრებ ქართველ ჟურნალისტს ლელა ნინუას, მსახიობ ცუცა კაპანაძესა და გიორგი მაისურაძეს მიჰყავდათ.
ღონისძიებას ესწრებოდა ქ. ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური კონსულის მოვალეობის შემსრულებელი, ეკატერინე ნინუა, რომელმაც სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ვლადიმერ კონსტანტინიდის მისასალმებელი სიტყვა გააცნო და გენერალური საკონსულოს სახელით მონაწილეებს ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის მადლობის სიგელები გადასცა.
ფესტივალი საქველმოქმედო ხასიათის იყო და შემოსულო თანხა ბერი ანდრიას სახელობის საქველმოქმედო ფონდს გადაეცემა.

ქ. ათენში ქართველი ემიგრანტი პოეტების რიგით მესამე პოეზიის ფესტივალი გაიმართა

23 აპრილს, ქ. ათენში, „ქართული სახლის“ და ვახტანგ VI სახელობის ქართული საკვირაო სკოლის პედაგოგებისა და აღსაზრდელების მონაწილეობით გაიმართა ქართველი ემიგრანტი პოეტების რიგით მესამე პოეზიის ფესტივალი, რომელიც მიეძღვნა დედაენის დღეს.
ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს როგორც საბერძნეთში, ისე საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნაში მოღვაწე პოეტებმა. ასევე ქართული ენისა და დამწერლობის ქომაგმა მეცნიერებმა და მოსწავლეებმა.
ღონისძიებას ესწრებოდა ქ. ათენში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი დავით კორძაძე, რომელმაც მიულოცა ორგანიზატორებს და მონაწილეებს ქართული ენისადმი მიძღვნილი ფესტივალის წარმატებით ჩატარება.



ქ. ვარშავაში ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა

23 აპრილს, ქ. ვარშავაში, პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში, გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია. საელჩოსთან თანამშრომლობით, ასევე პოლონეთში ქართული ღვინის ელჩის, ქეთევან ფრანგულაიშვილისა და ვარშავაში მოლდოვური ღვინის ბარის მფლობელის, ალექს ცასიანოვის ორგანიზებით, დეგუსტაციაზე წარდგა ქართული ღვინის სამი მწარმოებელი კომპანია: კაპისტონი, კასრელი და ველინო.
ღონისძიება გახსნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, დიანა ჟღენტმა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა.
ღონისძიებას ესწრებოდნენ პოლონეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლები და პოლონელი სტუმრები.

ქ. ფილადელფიაში დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

24 აპრილს, ქ. ფილადელფიაში, წმ. მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახელობის ქართული კულტურის ცენტრში, გაიმართა დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კულტურის ცენტრის საკვირაო სკოლის (პედაგოგები: თეა ქუთათელაძე, ნინო ბუკია), სიმღერის გუნდის (პედაგოგები: მაია შიოშვილი, დავით ჭკუასელი) ცეკვის ანსამბლის (პედაგოგები: სალომე ბიბინეიშვილი, ლაშა მუჯირი) და ხატვის წრის (პედაგოგი ლორინა მანჯგალაძე) მოსწავლეებმა.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური საკონსულოს გენერალური კონსულის მოვალეობის შემსრულებელი ეკატერინე ნინუა და ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსი მეუფე საბა (ინწკირველი).

ქ. ათენში ქართული ენის ღია გაკვეთილი ჩატარდა

28 აპრილს, ქ. ათენში, საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ, „ქართული ენისადმი მიძღვნილი ღია გაკვეთილების ციკლის" ფარგლებში პირველ ღონისძიებას უმასპინძლა.
ღია გაკვეთილში მონაწილეობა მიიღეს ბერძნულ-ქართულ კულტურულ ასოციაციასთან არსებული დავით გურამიშვილის სახელობის საკვირაო სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა.
ღია გაკვეთილი საკვირაო სკოლის პედაგოგმა თამარ აფციაურმა ჩაატარა. მან სკოლის აღსაზრდელებთან განსახილველად იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოები "იავნანამ რა ჰქმნა" შეარჩია.
საელჩოს თანამშრომელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ზურაბ ვაჩეიშვილმა გააკეთა ვრცელი პრეზენტაცია ქართული დამწერლობის შესახებ და მის წარმომავლობასა და უნიკალურობაზე ისაუბრა.
ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ექსპოზიცია „ქართული ანბანის სამი სახეობა“.
შეხვედრაზე საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა, დარეჯან მუმლაძემ მადლობა გადაუხადა ბერძნულ-ქართულ კულტურულ ასოციაციას ათენში მცხოვრებ ახალგაზრდა თაობაში ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საქმეში შეტანილი წვლილისთვის.
ღონისძიების დასასრულს საკვირაო სკოლის მოსწავლეებს გადაეცათ სამახსოვრო სიგელები.

ქ. ჰანოვერში ასოციაცია „გერმანულ-ქართული სახლი“ დაფუძნდა

29 აპრილს, ქ. ჰანოვერში, საერთაშორისო-საგანმანათლებლო პროექტ „პატრიოტი დიასპორელის“ დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის, ნინო ციბაძის ინიციატივით, ასევე გერმანიის სხვადასხვა ქალაქიდან შეკრებილი 20 თანადამფუძნებლის ერთობით გაიხსნა ასოციაცია „გერმანულ-ქართული სახლი“ (DGH) Deutsch-Georgisches Haus e.V.
ასოციაციის მიზანია ხელოვნების, კულტურისა და განათლების სფეროების, გერმანულ-ქართული ურთიერთობების გაძლიერებისა და ურთიერთგაგების იდეის მხარდაჭერა. ამასთანავე, ასოციაცია მხარდაჭერას უცხადებს საერთაშორისო - საგანმანათლებლო პროექტს „პატრიოტი დიასპორელი“, რომელიც ხორციელდება ქართულ საჯარო და მართლმადიდებლურ სკოლებში.
დამფუძნებელთა კრებაზე არჩეულ იქნა ასოციაციის დირექტორთა შვიდკაციანი საბჭო. დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელია გერმანიაში მოღვაწე პროფესორი გენადი წიქორიძე, ხოლო ასოციაციის მმართველი დირექტორი - ნინო ციბაძე.

ქ. ათენში ქართული კინო-მუსიკის საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართა

30 აპრილს, ქ. ათენში დიასპორული ორგანიზაცია „Georgian.gen“-ის ორგანიზებით, თეატრ „ალფაში“ გაიმართა ქართულ კინომუსიკისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო ღონისძიება-კონცერტი.
ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდნენ ქ. ათენში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციები: „პეგასი-მერანი“, „არმაზი“, „კავკასია“, ასევე, ქ. ათენში მოღვაწე ქართველი მომღერლები, მხატვრები, ქორეოგრაფები და სხვა.

გიორგი ჯანჯღავა ბურსის რეგიონში მოქმედი „კულტურისა და ურთიერთდახმარების ასოციაციის“ წევრებს შეხვედა

30 აპრილს, ბურსის რეგიონში სამუშაო მივლინების ფარგლებში, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, გიორგი ჯანჯღავამ შეხვედრა გამართა ქ. ბურსაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთან და ქ. ბურსის ბათუმისა და მისი შემოგარენის კულტურისა და ურთიერთდახმარების ასოციაციის ხელმძღვანელთან და ასოციაციის წევრებთან.

საქართველოს ელჩმა, შეხვედრებზე, ყურადღება გაამახვილა ქართული დიასპორის მნიშვნელოვან როლზე საქართველოს განვითარების და ქვეყნის პოზიტიური იმიჯის წარმოჩენის საქმეში და აღნიშნა, რომ დიასპორასთან ურთიერთობა საქართველოს მთავრობის და საგარეო საქმეთა სამინისტროს, ისევე როგორც საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური მისიების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. გიორგი ჯანჯღავამ, აგრეთვე, ისაუბრა იმ პროექტებსა და ინიციატივებზე, რაც მთავრობას გააჩნია საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებში კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიმართულებით.

შეხვედრებზე მხარეებმა განიხილეს ერთობლივი კულტურული პროექტების განხორციელების შესაძლებლობები და თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. ასევე, თანამემამულეებს მიეცათ შესაძლებლობა, დაესვათ შეკითხვები საკონსულო საკითხებთან დაკავშირებით, რაზეც მათ ადგილზე გაეწიათ შესაბამისი კონსულტაცია.

საქართველოს ელჩი ასევე დაესწრო თურქეთის მარმარილოს რეგიონის კავკასიურ-ქართული დიასპორული ასოციაციების ფედერაციის შენობის გახსნის საზეიმო ცერემონიას.

ქ. ნიუ-იორკში სანდრო გეგეჭკორის საფორტეპიანო სოლო კონცერტი გაიმართა

5 მარტს, ქ. ნიუ-იორკში, დიასპორული ორგანიზაციის ,,დიასპორის სახლი" ორგანიზებით, „ირინა დენს აკადემიში“ გაიმართა ახალგარზდა შემსრულებლის სანდრო გეგეჭკორის საფორტეპიანო სოლო კონცერტი. კონცერტში მონაწილეობდნენ „ირინა დენს აკადემის“ ცეკვის ანსამბლი და ამერიკაში მოღვაწე ქართველი მომღერლები ნინი შერმადინი, ვაჟა მანია და ლენკა ზვიადაძე. საღამოს უძღვებოდენ ნინო ჩეხოშვილი და მამუკა ლიპარტელიანი. ახალგარზდა შემსრულებლებს გადაეცათ მადლობის სიგელები.
საღამოს ესწრებოდენ ამერიკაში ქართული დიასპორის წარმომადგენლები და ამერიკელი სტუმრები.

ქ. შტუტგარტში „ქართულ მუსიკალურ საზოგადოებასთან“ არსებული სტუდიის კონცერტი გაიმართა

31 მარტს, ქ. შტუტგარტში, „ქართული მუსიკალური საზოგადოების“ დამფუძნებლების, ანა ნანუაშვილის და ბესო ნამჩევაძის ორგანიზებით, საზოგადოებასთან არსებული სტუდიის პირველი კონცერტი გაიმართა.
კონცერტზე, სტუდიის აღსაზრდელების მიერ შესრულებულ იქნა ინსტრუმენტალური ჟანრის ნაწარმოებები, ქართული ცეკვა და სიმღერები.
ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით ქ. შტუტგარტში საქართველოს გენერალურმა კონსულმა, ლევან ღვაჩლიანმა მიმართა. მან მადლობა გადაუხადა მუსიკალური გაერთიანების წარმომადგენლებს გაწეული მნიშვნელოვანი საქმიანობისთვის და მხარდაჭერა აღუთქვა სამომავლოდ, ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა პროექტის განხორციელების საქმეში.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ბადენ-ვიურტემბერგის ფედერალურ მიწაზე მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

ტელ.: +995 32 294 50 00

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO